ონის მუნიციპალიტეტის მერია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N 3

2022 წლის 16 სექტემბერი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

სერგო ხიდეშელი -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;

ლევან შერაზადიშვილი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

მანანა ჩაგელიშვილი - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დავისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

მარინე რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი

ხათუნა ღუღუნიშვილი - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი;

ია ალიბეგაშვილი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, შშმ პირი;

ლამარა გამყრელიძე - მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, საბჭოს მდივანი.

სხდომა მიყავდა:

მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარეს **სერგო ხიდეშელს**

სერგო ხიდეშელმა და საბჭოს სხვა წევრებმა, გულისტკივილით გაიხსენეს საბჭოს აქტიური წევრი, შშმ პირი, ვეფხია გუგეშაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ, მძიმე ავადმყოფობის გამო, გარდაიცვალა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ხიდეშელმა, ამის შემდეგ, საბჭოს შემადგენლობას გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით, სამედიცინო ინვენტარით. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 4. აქტივობა 4.1.1)

მომხსენებელი - **მარიამ რაზმაძე,** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი კომისიის წევრი;

2.შშმ პირების სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობა (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 4. აქტივობა 4.1.2.)

მომხსენებელი - **მარიამ რაზმაძე,** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

3.ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ ფეისბუქგვერდზე შშმ პირთათვის, მათი უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციების განთავსება. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის

მიზანი 3. აქტივობა 3.1.1)

მომხსენებელი -**მანანა ჩაგელიშვილი** - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი

4. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების შშმ და სსსმ ბავშვებისათვის ხელმისაწვდომობა. შშმ და სსსმ ბავშვებისათვის შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 5.აქტივობა 5.1.2)

მომხსენებელი - **ლამარა გამყრელიძე,** განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში

5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. შესწავლილია ტურისტული ინფრასტრუქტურა, შერჩეულია სასტუმროები და შექმნილია სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია სამკურნალო ტურიზმის ლოკაციების შესახებ. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 6, აქტივობა 6.1.2.)

მომხსენებელი- ლია ბურდილაძე -ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო- ტურისტული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

6.შშმ პირთათვის საინტერესო ტურების დაგეგმვა-განხორციელება, ფოტო-ვიდეო მასალების განთავსება ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 6. აქტივობა 6.1.3.)

მომხსენებელი- ლია ბურდილაძე, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო- ტურისტული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1.:

1.შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით, სამედიცინო ინვენტარით. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 4. აქტივობა 4.1.1)

მომხსენებელი - **მარიამ რაზმაძე,** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი კომისიის წევრი;

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ავადმყოფთა დახმარების მუნიციპალური პროგრამით, ერთჯერადი დახმარება გაეწევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათს აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი .დახმარება, ასევე, მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001- ქულას და უნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა. 2022 წლის იანვრიდან დღემდე, ამ პროგრამით, გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 12 653 ლარის ოდენობით.

ცალკეა განსაზღვრული ჰემოდიალიზით მომსახურების დაფინანსების წესი. ონის მუნიციპალიტეტში ჰემოდიალიზის კომპონენტის სამედიცინო მომსახურებით, ავადმყოფებს ყოველთვიურად, მომსახურება ეწევა 150 ლარის ოდენობით.2022 წლის იანვრიდან დღემდე, დიალიზის პროგრამით სარგებლობს 4 ბენეფიციარი.

ერთჯერადი დახმარება ეწევა ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეებსაც. მათ მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, ვაძლევთ ერთჯერად ფულად დახმარებას 150 ლარის ოდენობით.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის მუხლიდან, 2022 წლის იანვრიდან დღემდე, მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა.

არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დახმარების მიზნით, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20100 ლარს.

2022 წლის იანვრიდან დღემდე, 37 ბენეფიციარზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 11 100 ლარი. მათ შორის 18 წლამდე ასაკის 7 შშმ პირია.

18 წლამდე ასაკის შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე, ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარი გაიცემა. 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;

დღეის მდგომარეობით, 5 შშმ ბავშვზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

1. **მანანა ჩაგელიშვილმა, კომისიის წევრი,** რომელმაც აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ გადაიხედება, ზოგიერთი მიმართულებით, სოციალურად დაუცველთა და შშმ პირთა დაფინანსების საკითხი. მაგალითად, სოფელ ჭიორაში ცხოვრობს ტერეზა რეხვიაშვილი, რომელიც საჭიროებს სისტემატურ სარეაბილიტაციო მკურნალობას. მისთვის გამოყოფილი 1500 ლარი, სრულიად არასაკმარისია. იმის გამო, რომ რეხვიაშვილს არ ყოფნის გამოყოფილი თანხა და ოჯახი სოციალურად დაუცველია, გასულ წელს ვერ ჩაიტარა სარეაბილიტაციო მკურნალობა. მანანა ჩაგელიშვილმა დააყენა საკითხი ტ. რეხვიაშვილისთვის სარეაბილიტაციო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით;
2. **სერგო ხიდეშელმა - შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე,** რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ მერია სამომავლოდ, იზრუნებს იმასთან დაკავშრებით, რომ მოიძებნოს კლინიკა, სადაც შესაძლებელი იქნება ტ. რეხვიაშვილისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის ჩატარება.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 1.:

- მიღებული იქნას ცნობად ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის მარიამ რაზმაძის ინფორმაცია „შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით, სამედიცინო ინვენტარით“ შესახებ. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 4. აქტივობა 4.1.1)
- ეთხოვოს კომისიის წევრს მანანა ჩაგელიშვილს, დააზუსტოს შშმ პირთან, ტერეზა რეხვიაშვილის მკურნალობასთან დაკავშირებული საჭიროებები და მერიასთან თანამშრომლობით, მოძებნოს კონკრეტული კლინიკა, სადაც შესაძლებელი იქნება ტერეზა რეხვიაშვილისთვის, წლის მანილზე, საჭირო სარეაბილიტაციო მკურნალობა;

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 2:

შშმ პირების სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობა (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს, 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 4. აქტივობა 4.1.2.)

მომხსენებელი - **მარიამ რაზმაძე,** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუნიციპალური პროგრამით, ცალკეა გამოყოფილი უსახლკარო და სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელ ბინის ქირით, ყოველთვიური უზრუნველყოფის მიზნით, დაფინანსება. დახმარება ეწევა განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი ან თავშესაფარი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 ქულას. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათზე გაიცემა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის კომპენსაცია, არაუმეტეს, თვეში 150 ლარი..2022 წლის იანვრიდან დღემდე, ბინის ქირის პროგრამით სარგებლობს 1 შშმ პირი.

ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების მიზნით საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირზე, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

დღის მდგომარეობით, 2 დაინვალიდებულ პირზე გაიცა 200 ლარი. ბიუჯეტი შეადგენს 4400 ლარს.

არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის ბავშვების, ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, მათთან გათანაბრებულ პირთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახების დახმარების მიზნით(ყოველთვიურად), წყლის და კანალიზაციის გადასახადის და დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა ხორციელდება აღნიშნული მუნიციპალური პროგრამით. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 4000 ლარს. 2022 წლის იანვრიდან დღემდე ამ პროგრამით ისარგებლა 43 ბენეფიციარმა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებულ იქნას ცნობად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის მარიამ რაზმაძის ინფორმაცია შშმ პირების სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობის თაობაზე ინფორმაცია (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 4. აქტივობა 4.1.2.)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 3.:

ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ, ფეისბუქგვერდზე შშმ პირთათვის, მათი უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციების განთავსება. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის

მიზანი 3. აქტივობა 3.1.1)

მომხსენებელი -**მანანა ჩაგელიშვილი** - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი

მომხსენებელი მანანა ჩაგელიშვილი აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცნობიერების ასამაღლებლად, საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმაში სხვადასხვა აქტივობებია დაგეგმილი. ერთერთი ასეთი აქტივობაა შშმ პირთა საკუთარ უფლებებში გარკვევა. სწორედ ამ მიზნით, სამსახურის ფეისბუქგვერდზე ვაქვეყნებთ საქართველოს კანონს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“. უკვე გამოვაქვეყნეთ კანონის 16 მუხლი, რომლებიც შეეხება დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების ვალდებულებებს, რომელიც მათ აქვთ შშმ პირთა მიმართ,

ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, შშმ ბავშვების უფლებებს, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას და სხვა. ონის მუნიციპალიტეტის მერიას ვალდებულება აქვს აღებული, რომ მერიის იურიდიული სამსახური, ნებისმიერ დროს, მოემსახუროს შშმ პირებს, რაც ძალზე მნიშვნელოვან დახმარებად უნდა იქნეს აღქმული.

მომავალი წლის სამუშაო გეგმის შედგენის დროს, შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, კვლავ დაიგეგმება ღონისძიებები, რომელთა განხორციელებით მხარდაჭერილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცნობიერების ამაღლება, საფუძვლიანად იცოდნენ საკუთარი უფლებები.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 3:

- მიღებული იქნეს ცნობად განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის, კომისიის წევრის მანანა ჩაგელიშვილის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ ფეისბუქგვერდზე შშმ პირთათვის, მათი უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციების განთავსების შესახებ;
- კვლავ გაგრძელდეს თანამიმდევრული მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მიმართულებით, მათი ცნობიერების ასამაღლებლად;

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 4. . მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების შშმ და სსსმ ბავშვებისათვის ხელმისაწვდომობა. შშმ და სსსმ ბავშვებისათვის შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 5.აქტივობა 5.1.2)

მომხსენებელი - **ლამარა გამყრელიძე,** განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში

ლ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი, ქალაქ ონის საბავშვო ბაგა-ბაღი და ერთიც, სოფელ გლოლის საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ ბაგა-ბაღში გვყავს ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი, მეთოდისტი, რომლებიც მშობლებთან და ჯგუფის აღმზრდელებთან ერთად, ქმნიან ინტერდისციპლინურ გუნდს. ამასთან, დღეს არსებული უამრავი ლიტერატურა და მეთოდური სახელმძღვანელოები, იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ სწორად მიმდინარეობდეს ინკლუზიური განათლება სკოლამდელ დაწესებულებებში. ბაღში ინტერდისციპლინური გუნდის მიზანია, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა და არა მარტო დაგეგმვა, არამედ მისი გატარება ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მიზნით.

ამ მიმართულებით სწორად რომ იმართებოდეს მუშაობა, გვეხმარება გადამზადებული აღმზრდელები, რომლებმაც უკვე საფუძვლიანად იციან ადრეული ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის მნიშვნელობა და აუცილებლობა, ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებების იდენტიფიკაცია, რომლის შემდეგაც ახდენენ თითოეულ ინდივიდთან მუშაობის დაგეგმვას, ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მიხედვით, მიღწეულ შედეგებზე დაკვირვებას, თუმცა უნდა ითქვას, რომ მშობლებთან მუშაობა გააქტიურებას მოითხოვს, რასაც მკაცრად ითხოვს საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში, საგრძნობლად მოიმატა ბავშვებში, შეძენილი აუტისტური სპექტრის შემთხვევებმა. ჩემი მრავალწლიანი მუშაობის პერიოდში, თქვა მომხსენებელმა, ასეთი ხშირი გამოვლინების ფაქტები არ მახსოვს. თუ ადრე, ათწლეულის მანძილზე ერთი შემთხვევა შეიძლება გამოვლენილიყო, ახლა ეს ასე არ არის. ბაღში ორი ასეთი ბავშვი გვყავდა გასულ სასწავლო წელს, რაც საგანგაშოდ უნდა ჩაითვალოს. არის სსსმ ბავშვთა გამოვლენის შემთხვევები. მშობლების კითხვებს - რა არის აუტიზმი? როგორ ისმევა აუტიზმის დიაგნოზი? როგორ ხდება აუტიზმის მკურნალობა? როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან შეძენილი აუტიზმი? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, სისტემატიურად უნდა მიმდინარეობდეს მშობელთა ცნობიერების ამაღლება. მშობლებთან სისტემატიურმა და თანამიმდევრულმა მუშაობამ დიდი ადგილი უნდა დაიკავოს შეძენილი აუტიზმის პრევენციისთვის. ბაღის სპეციალისტთა გუნდი, ცდილობს ერთობლივი მუშაობით მიაღწიოს გარკვეულ შედეგებს, რასაც კონკრეტული ბავშვისთვის ინდივიდუალური სასწავლო - სააღმზრდელო მიზნების დასახვა და შესრულება ემსახურება. ბაგა- ბაღში ცალკეა გამოყოფილი ინტერდისციპლინური გუნდის სამუშაო ოთახი, სადაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ გუნდურად. სამსახური პერიოდულად სწავლობს ბაგა- ბაღში ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეულ მუშაობას. ინკლუზიური განათლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მუშაობა კვლავ გაგრძელდება.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სერგო ხიდეშელმა, რომელიც დაინტერესდა მუნიციპალიტეტის მიერ რა შეიძლება გაკეთდეს დამატებით, შეძენილი აუტიზმის პრევენციის მიზნით, ადრეული ჩარევისა და ამ მიმართულებით მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მანანა ჩაგელიშვილმა - მან აღნიშნა, რომ მთავარია ჩვენ გვყავს სპეციალისტთა გუნდი, რომლებიც კარგად ერკვევიან თავიანთ მოვალეობებში და სამსახური ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყოს მათი მუშაობა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 4:

1. უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ბაგა- ბაღში მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის დაგეგმვას;
2. ბაგა-ბაღის დირექტორმა საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ მუხლი 17, პუნქტი 2. ქვეპუნქტი „გ“ მოთხოვნის შესაბამისად შეიმუშაოს ინკლუზიურ განათლებასთან, ძალადობისგან ბავშვის დაცვასთან,

უსაფრთხოებასთან, სანიტარიასთან დაკავშირებით, სტანდარტებთან შესაბამისად, დაწესებულების სტრატეგიის შემუშავება“. ამ პუნქტის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის განათლების მიმართულებით უფროს სპეციალისტს ლამარა გამყრელიძეს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. შესწავლილია ტურისტული ინფრასტრუქტურა, შერჩეულია სასტუმროები და შექმნილია სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია სამკურნალო ტურიზმის ლოკაციების შესახებ. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 6, აქტივობა 6.1.2.)

მომხსენებელი- ლია ბურდილაძე, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო- ტურისტული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ლია ბურდილაძე- აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ტურისტულმა ცენტრმა შეისწავლა მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღეს არსებული მდგომარეობით შშმ პირებზე მორგებული ინფრასტრუქტურა ძირითადად, არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით სოფელ უწერაში არსებულ სასტუმრო „მანინოს“. სასურველია, რომ ამ მიმართულებით იმუშაონ საოჯახო სასტუმროებმა. ჩვენ დავგეგმეთ, რამდენიმე საოჯახო სასტუმროსთან გავმართოთ კონსულტაციები, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ადაპტირებული გახადონ თავიანთი სახლები შშმ პირთათვის. ჩვენი მხრიდან კი, ასეთ სასტუმრო სახლებს გაეწევათ აქტიური უფასო რეკლამირება. საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ავრცელებს ინფორმაციებს სასტუმრო სახლების შესახებ. გვიკავშირდებიან ტურისტები, რომლებსაც აქტიურად ვეხმარებით საოჯახო სასტუმროებში განსათავსებლად. განსაკუთრებულ რეკლამირებას ვუწევთ სასტუმრო „მანინოს“. ასევე, სოფელ უწერის საოჯახო სასტუმროებს, რადგანაც აქ ჩამოსული ტურისტები, პარალელურად, მკურნალობენ უწერის მინერალური წყლებით.

სამკურნალო- გამაჯანსაღებელი მიმართულებით ტურიზმის განვითარებისთვის ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი აქვს. მიგვაჩნია, რომ არცერთი ობიექტი არ უნდა აშენდეს, ისე, სადაც გათვალისწინებული არ იქნება შშმ პირთა საჭიროებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ა:

მანანა ჩაგელიშვილმა და აღნიშნა, რომ დაგეგმილი იყო სასტუმრო სახლებს, 5 სახლს მაინც, დავხმარებოდით შესასვლელების ადაპტირებაში, თუმცა ვერ მოხერხდა დღემდე. ვფიქრობ, ეს საკითხი კვლავ კონტროლზე გვქონდეს აყვანილი. ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მუდმივი ყურადღების ქვეშ უნდა იყოს მშენებლობების პროცესში პანდუსების მოწყობა.

სერგო ხიდეშელი - - რა თქმა უნდა, ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების დროს დიდი ყურადღება ეთმობა პანდუსების მოწყობას. მითუმეტეს ახალი მშენებლობების დროს.

თუმცა, სასტუმრო სახლები, თვითონვე უნდა იყვნენ დაინტერესებული მოამზადონ სასტუმროები შშმ პირების მისაღებად. ზოგიერთ საოჯახო სასტუმროში, ალბათ იქნება კიდეც ამის შესაძლებლობა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მომსახურების ამ კულტურის გასაფართოებლად.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 5.

- მიღებული იქნას ცნობად ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ლია ბურდილაძის ინფორმაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის შესახებ;

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 6.:

შშმ პირთათვის საინტერესო ტურების დაგეგმვა-განხორციელება, ფოტო-ვიდეო მასალების განთავსება ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მიზანი 6. აქტივობა 6.1.3.)

მომხსენებელი- ლია ბურდილაძე , ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო- ტურისტული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელი ლია ბურდილაძე აღნიშნავს, რომ შშმ პირთათვის საინტერსო ტური იყო დაგეგმილი, თუმცა გადაწყდა, რომ მრავალძალში მგზავრობა დამღლელი იქნებოდა შშმ პირებისთვის და პროექტის განხორციელება, სამწუხაროდ, გადაიდო. შესაბამისად, ფოტო- ვიდეო მასალების გადაღება და გამოქვეყნებაც არ მომხდარა. ვფიქრობთ, რომ შევარჩიოთ უფრო მსუბუქი ტური და გავულამაზოთ ერთი დღე ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთა ერთ ჯგუფს. შემდეგში, კი პირველი გამოცდილება გამოყენებული იქნება სხვა ტურების დაგეგმვის დროს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სერგო ხიდეშელმა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია შშმ პირებისათვის შევქმნათ სასიამოვნო გარემო, რმ გრძნობდნენ ჩვენს მხარდაჭერას, ვგეგმავდეთ დასამახსოვრებელ დღეებს. ამისთვის მართლა ძალიან საინტერესო იქნებოდა, ასეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. გადადებული ღონისძიება აუცილებლად უნდა ჩანაცვლდეს უახლოეს პერიოდში, მსგავსი ღონისძიებით.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 6:

- დაევალოს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ლია ბურდილაძეს დაგეგმოს სოფელ უწერაში შშმ პირთათვის ტურის მოწყობა;
- მოამზადოს ტურისტული გასვლის გეგმის პროექტი;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსმა მარიამ რაზმაძემ შეარჩიოს ტურში მონაწილე 15 შშმ პირის შეთანხმებული სია და წარუდგინოს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრს.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე

საბჭოს თავმჯდომარე სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული
შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე

საბჭოს მდივანი ლამარა გამყრელიძე